"ვამტკიცებ"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი სალომე მელია

ღია ტურნირი ''დამწყები პაიკები''

ქ. ბათუმი, 24 იანვარი, 2025 წ.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე, მის: ლეონიძის 15

ჩატარების სისტემა:
ჩემპიონატი ჩატარდება 8 წლამდე ღია კატეგორიაში;
ტურნირი გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
მონაწილენი:
მოჭადრაკეები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან, რომელთაც აქამდე არ მიუღიათ მონაწილეობა არცერთ ოფიციალურ ტურნირში.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 10 წუთი პარტიის ბოლომდე.

თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);
2. ბუჰგოლცი;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა;
5. პროგრესი (რეგრესით).

წრიული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/bSD1p5ZMyLiFMx3V8

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 23 იანვარი, 19:00 საათი.
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ტურნირის განრიგი:

ტურნირის გახსნა: 24 იანვარი, 13:00 სთ.
I ტური დაიწყება 13:30 საათზე, ყოველი მომდევნო კი თითოეული ტურის დასრულების შემდეგ.
ტურნირის დახურვა: 17:00 სთ.

სატურნირო შესატანი: 15 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
ანგარიშის ნომერი: GE95BG 0000 000 3630 99200

საერთო წესები:

პარტიაზე დაგვიანების შემთხვევაში, საათზე დროის ამოწურვის შემდეგ მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

გამარჯვებულები: I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლითა და დიპლომით, ხოლო ჩემპიონი აგრეთვე თასით. ტურნირიში ასევე გამოიყოფა 1 საუკეთესო გოგონა, რომელიც დაჯილდოვდება მედლით, დიპლომით და თასით.

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია